ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის ოქმი #40

28 თებერვალი, 2020 წელი
15:00 საათი
(ჯანდაცვის კომისიის ოთახი)

ა/წ 28 თებერვალს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიი სხდომა.
სხდომას ესრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. მიხეილ ამაშუკელი;
4. ნინო ლაცაბიძე;
5. თამარ ტალიაშვილი;
6. ვლადიმერ ძნელაძე.

მოწვეული სტუმარები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;

2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სოციალური მზრუნველობის სააგენტოს“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.
გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილის ინფორმაცია ახალი ქვეპროგრამის „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების განხორციელების პირობებსა და პროცედურებზე.

წარმოდგენილი პროექტით (შემდგომში - პროექტი) ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-10 დადგენილებაში. კერძოდ, დადგენილების პირველ მუხლს ემატება „თ“ ქვეპუნქტი - „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ - დანართი N8 . აღნიშნული დანართი კი, განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების განხორციელების პირობებსა და პროცედურებს.

აღნიშნული ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე 15-დან 60 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც არიან: დიაგნოსტირებულნი მაკდონალდის სადიაგნოზო კრიტერიუმების თანახმად, სადაც კურცკეს უნარშეზღუდულობის სკალით შეფასებული მდგომარეობა არის 0-დან 6 ქულის ჩათვლით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის განცხადებით მიმართვამდე ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულნი, მათ შორის, ისეთი პირები, რომლებსაც ამ 3 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში, ხოლო იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ – ქალაქი თბილისი.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება მატერიალიზებული ვაუჩერის/თანხმობის წერილის საშუალებით, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს ქვეპროგრამით დადგენილი მედიკამენტის ღირებულების და თანაგადახდის ლიმიტისა. მედიკამენტები მოსარგებლეებს უფინანსდებათ შემდეგი სქემის მიხედვით: „ოკრელიზუმაბი“ - საწყისი დოზა 600 მგ შეყვანილ უნდა იქნას ორ ინფუზიად: 300 მგ - პირველ დღეს, 300 მგ - ორი კვირის შემდეგ, შემდგომი ინფუზიები ყოველ 6 თვეში ერთხელ დოზით - 600 მგ; „ფინგოლიმოდი“ – 0,5 მგ ერთი აბი ერთხელ დღეში. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი უფინანსდება ამ წესით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენს 20%-ს).

აღნიშნული წესი ასევე მოიცავს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელად რეგისტრაციის კრიტერიუმებს, რომლის თანახმადაც მიმწოდებელი ვალდებულია ჰქონდეს ფარმაცევტულ ბაზარზე მუშაობის სულ მცირე 5-წლიანი გამოცდილება, მინიმუმ 5 ფილიალი ქალაქ თბილისში, უზრუნველყოს მედიკამენტების „ოკრელიზუმაბის“ - არაუმეტეს 6000 ლარისა და „ფინგოლიმოდის“ - არაუმეტეს 1846 ლარის

ტარიფით მიწოდება და მედიკამენტის მარაგის უზრუნველყოფა, სულ მცირე სააფთიაქო ქსელის 5 ფილიალში.

წარმოდგენილი პროექტით ასევე შედის ცვლილება დადგენილების პირველი მუხლის „გ“ პუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის განხორციელების წესის“ (დანართი N3) მე-9 მუხლის პირველ პუნქტში, კერძოდ, მიმწოდებლისთვის დადგენილ კრიტერიუმებს დაემატა კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც მიმწოდებელს უნდა ჰქონდეს, 1 წლის განმავლობაში, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე, სულ მცირე, 20 ბავშვისათვის მომსახურება მიწოდებული უწყვეტად, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით, კერძოდ, ბავშვის/მოზარდის უნარების შეფასება/გადაფასება საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით (ინსტრუმენტები: ABLLS,VB-MAPPB-Mყოველთვიურად წარმოებული შესაბამისი ჩანაწერებით, გრაფიკებითა და მიზნებით). ამასთან, მიმწოდებელი ვალდებულია აწარმოოს ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხოლო, სუპერვაიზერის მიმართ დადგენილი აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან მუშაობის სულ მცირე ორი წლის გამოცდილების კრიტერიუმი დაკონკრეტდა და განისაზღვრა, რომ აღნიშნულის დამადასტურებლად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

პროექტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია ქვეპროგრამის განმახორციელებელს აცნობოს მულტიდისციპლინური გუნდიდან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემადგენლობის ცვლილების თაობაზე.

კომისიის წევრებმა **ასევე მოისმინეს** დეტალური ინფორმაცია, რომ 2020 წლის 2 მარტიდან იგეგმება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში არასამეწარმეო იურიდიული პირის **„სოციალური მზრუნველობის სააგენტოს“** დაფუძნება.

სააგენტოს ძირითადი ფუნქციები ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში იქნება:

- ბავშვთა უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განმახორციელებელი სოციალური მუშაკების ქსელის შექმნა და მათი სამოქმედო უბნების განსაზღვრა;
- ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად შესაბამის დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობა;
- არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;
- ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევა, რეგისტრაცია და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების განსაზღვრა;
- დამტკიცებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შესაბამისად სტატისტიკის წარმოება;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;

- საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, მავნე ნივთიერებების ზეგავლენისგან ბავშის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება;

სააგენტოს ფუნქციები ,,სოციალური მუშაობის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე იქნება:

- თბილისის ტერიტორიაზე სოციალური მუშაობის ჩატარება, კოორდინირებისა და ადმინისტრირების უზრუნველყოფა;
- ოჯახში ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირება და მასზე შესაბამისი რეაგირება;
- ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და მათში ჩართვის ხელშეწყობა;
- მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება და კონსულტაციის გაწევა;
- ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარება;

სააგენტოში კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად შეიქმნება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.

წარმოდგენილი ცვლილების და განკარგულების პროექტი დადებითად შეაფასა და დაეთანხმა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

წარმოდგენილი პროექტები განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ბირბიჩაძე